საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება №6/43

ქ.თბილისი

"11" ოქტომბერი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, ''ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის 13[1] მუხლის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის №653/22 გადაწყვეტილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს საჯარო კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „ კომისია") აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტი (მაუწყებლობა) ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად;

2. ვაკანტური თანამდებობისათვის განისაზღვროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართი №1-ის შესაბამისად;

3. დაინიშნოს ვახტანგ აბაშიძე- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი საკონკურსო კომისიის კომისიის თავმჯდომარედ;

4. საკონკურსო კომისია და სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
ა) მერაბ ქათმაძე- კომისიის წევრი (საკონკურსო კომისიის წევრი);
ბ) ელისო ასანიძე- კომისიის წევრი (საკონკურსო კომისიის წევრი);
გ) გიორგი ფრუიძე- კომისიის წევრი (საკონკურსო კომისიის წევრი);
დ) ქეთევან რეხვიაშვილი - ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, (საკონკურსო კომისიის წევრი);
ე) ივანე მახარაძე - აუდიო- ვიზუალური მომსახურეობი რეგულირების დეპარტამენტის უფროსი, (საკონკურსო კომისიის წევრი);
ე) თამარ ბოკუჩავა- ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფის უფროსი (საკონკურსო კომისიის წევრი);
ვ) ივანე თავაძე - ბიზნეს კონსულტანტი (საკონსულტაციო კომპანია PMCG) (მოწვეული ექსპერტი- საკონკურსო კომისიის წევრი);

ზ) გუგული კვანტალიანი - ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფის ადმინისტრატორი (საკონკურსო კომისიის მდივანი);

5. ჩატარდეს საჯარო კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის №653/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად;

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 12 ივლისის №6/35 გრძანება;

7. გრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

8. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

9. კონტროლი აღნიშნულ გრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის ა.რ.მ. ჯგუფს (თ. ბოკუჩავა).

კომისიის თავმჯდომარე

ჯახი ბექაური

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის

ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტი (მაუწყებლობა)

დანართი 1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კონკურსს ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტის (მაუწყებლობა) ვაკანსიაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კანონით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების მიზნით შექმნილია ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფს სატელეკომუნიკაციო და მაუწყებლობის ბაზრების ანალიზსა და შეფასებას, კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ზედამხედველობას.

თანამდებობრივი სარგო: 4999 ლარი(დარიცხული)

ანგარიშვალდებულება: ექვემდებარება ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსს

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა: 12 თვე

ძირითადი ფუნქციები (მოვალეობები)

ა) მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციების კვლევა როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ, ეკონომიკური ანალიზი და შესაბამისი ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ბ) მაუწყებლობის დარგების სეგმენტების მიმზიდველობის ანალიზი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე;

გ) მაუწყებლობის დარგის განვითარების საერთაშორისო ტენდენციების კვლევა, შედარებითი ანალიზი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;

დ) სამაუწყებლო ბაზრის შესაბამის სეგმენტებსა და ბაზრის კონკურენტულობაზე კომისიის მარეგულირებელ გადაწყვეტილებათა გავლენის კვლევა და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;

ე) ელექტრონული კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო ბაზრის მნიშვნელოვან რყევებზე მონიტორინგის გაწევა, რყევის გამომწვევი მიზეზების ანალიზი და ინფორმაციისა და

ანგარიშების მიწოდება კომისიისა და კომისიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;

ვ) კომისიის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის ხელმძღვანელის დამატებითი დავალების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: ბაკალავრის ხარისხი

სამუშაო გამოცდილება: სულ მცირე 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება

ენების ცოდნა;

- ქართული ენა - ძალიან კარგი
- ინგლისური ენა- ძალიან კარგი

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

MS Office (Word ძალიან კარგი, Excel, Power Point ძალიან კარგი)

სამუშაო გამოცდილება: უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში:

- მედია განთავსების ანალიტიკოსის, მედიის ანალიტიკოსის ან სხვა მსგავს პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება სამაუწყებლო კომპანიებში და/ან სარეკლამო კომპანიებში;

კომპეტენცია და უნარები:

1. ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
2. ცვლილებებისა და სიახლეების ინიცირების უნარი;
3. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
4. გუნდური მუშაობის უნარი;
5. კომპლექსური აზროვნება;
6. დროის ეფექტიანი მართვა;
7. საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;8.ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი